



დებიორნარი

№ 52

ბამოღის კვირათი სამჯუბი

25 ივნისი 1944 წ.

ბერმანის უმაღლეს სარდლობის ცნობები

ინგლის - ამერიკელთა უზადებო ცდები, გერმანული შეტევების შედეგებისათვის

ორის აღმოსავლეთის ხიდის თავის უზვიფროება გერმანელების მიერ ბრძოლა

მტრს ჩავუძირეთ მრავალი გადმომსხმელი ბერი

იტალიური გერმანელებმა უკუაქციეს მტრის ყველა ქალები

ნორმანდიაში, ორის აღმოსავლეთით, მტრის იერიშები გაფანტულია

მტრის ძლიერი საჰაერო შენაერთები, რომელნიც ჩაბოჭილი იყვნენ შეტევების სიმაგრეებთან ბრძოლაში უკუაქციეს იყვნენ

ფიურერის მთავარი ბანაკი. 22 ივნისი.

ბერმანის უმაღლესი სარდლობის განცხადება:

ბერმანის ნახევარკუნძულის განსაკუთრებით თავი 243-ე ფეხოსანთა დივიზიის უფროსმა ლენერალმა შოლმიშმა, თავისი ჯარებით. ის 17 ივნისს დაეცა გმირულად ხელჩართულ ომში. ჩვენი მფრინავები ჩაერივნენ ამ ბრძოლაში და გუშინ ღამით მტერს ჩაუძირეს მრავალი გემები.

გუშინ ცენტრალურ იტალიაში მტერს დიდი ზიანი მიუყენეთ. შემდეგ ხანგრძლივი მზადებისა ის შეტევებზე გადმოვიდა მხოლოდ ნაშუადღევს ტრანსიმენის ტბის მიდამოებში. მათი ყველა იერიშები მომოგერიებულა. განადგურებულია 23 ტანკი.

პიომბინოს არხის ზემოდ მტერს 8 ბომბდამფენი გავუხადგურეთ.

აღმოსავლეთის ფრონტზედ, ტარნობოლის და კოველის ჩრდილო დასავლეთით და ვიტეზის სამხრეთ აღმოსავლეთით იყო ძლიერი სარტილერიო სროლა. საბჭოების ადგილობრივი შემოტევები უკუაქციეს იქმნა.

უკანასკნელ ღამეს ჩვენმა მძიმე შენაერთებმა დაბომბეს პოლტავის ჰაეროდრომი. მტრ-

ის 30 თვითმფრინავი იქმნა ჩამოგდებული. ჰაეროდრომის საწყობებში იფეთქა დიდმა ცეცხლმა.

მტრის გადმოსხმის ცდა ფინლანდიის კუნძულზე ლინოსა-

როზედ უშედეგოდ დამთავრდა, და გადმოსხმის ყველა გემები გაუქნადგურეთ. ნარვასთან მათი გემები იქმნენ დაბომბილი. გუშინ ამერიკელთა ბომბდამფენები თავს დაესხნენ ბერ-

აღმოსავლეთის მოხალისეთა შენაერთებმა, გერმანულ თანამებრძოლებთან ერთობლივად, წარსული წამთრის ნომებარში, პეკეკოვის დაცვის მოწინავე ხაზზე, გადაინადეს სასტიკი ბრძოლები და უკუაქციეს ბოლშევიკების შიკრიში შემოჭრის ყველა ცდები.

ერთმა ქართულმა და ჩრდილო - კავკასიელთა ათასეულმა პირნათლად და გმირულად გაამართლეს ის ნდობა, რაც აღნიშნული იყო გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში.

უკანასკნელ ბრძოლებში, შენაერთებთან ერთად თავი იჩინეს ცალკე იმ მოხალისეებმაც, რომელნიც იბრძოდნენ გერმანულ ნაწილებში.

სააღმუხეხლო ნაწილებმა შეაჩვენეს ისეთი დაცვის სისტემა, რომელმაც საუშალებმა მოგვცა მთელი მკვსი თვის განმავლობაში უზვეჯიკებიან საბჭოთა მრავარცხროვანი ჯარის წინსვლა.

გერმანული ნაწილები, მოხალისეთა მიერ მოვალეობის პირნათლად შესრულებით მადლიერი, იღვანენ მტრის წინა და შიკრიშის ნახევარკუნძულიდან მოხალისეთა სრულ მუკაქუატიის საუშალებას აქლავდენ.

დაჩფუნებული ვარ, რომ მოხალისანი, რომელთაც თავი გამოიჩინეს შიკრიში, მომავალშიც შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, იბრძობენ ბოლშევიკებისაგან მათი სამშობლოს განთავისუფლებამდე.

მოხალისეთა ჯარების სარდალი: კავალერიის გენერალი კმსტრინი

ლის, რომელმაც გამოიწვია მოსახლეობის მსხვერპლი.

ჩამოვადეთ მტრის 67 თვითმფრინავი, აქედან 52 ოთხმოტორიანი.

უკანასკნელ ღამეს ინგლისელთა ერთმა შენაერთმა დაბომბა რენან - ვესტვალის მიდამოები.

მტრის ცალკეულმა ავიონებმა ჩამოყარეს ბომბები ბერლინის რაიონში.

უკანასკნელად, მტრის საჰაერო თავდასხმების წინააღმდეგ ბრძოლებაში თავი ისახელა ჰამბურგის დივიზიამ.

ქართვალთა ვწლილი მკროვის დაცვის საქმეში

უკანასკნელ ხანებში გერმანული პრესა ხშირად ლაპარაკობს ქართველ მოხალისეთა გმირულ ბრძოლებზედ. ქართველ მოხალისეთა მოქმედება ატლანტიკის ნაპირებზედ მათთვის იქცა სამაგალითოდ. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ დღეს გერმანული პრესა სისტემატიურად ადგილს უთმობს ქართველთა ბრძოლებს.

ასეთი სისტემატიური აღნიშვნები კი უსათუოდ შეიცავენ პოლიტიკურ ღირებულებას.

საზღვაო ბრძოლა ფინეთის ყუბაში

19-დან 20 ივნისს, ფინეთის ყურეში მოხდა გააფთრებული საზღვაო ბრძოლა გერმანიის და საბჭოთა კავშირის საზღვაო სამხედრო ძალების შორის. 19 ივნისს საზღვაო საზენიტო არტილერიის მიერ ჩამოგდებულ იქმნა მტრის 9 თვითმფრინავი, ამის შემდეგ სადარაჯო გემები შევიდნენ ბრძოლაში საბჭოთა - კავშირის ჩქარმავალ კატერებთან. 5 ჩქარმავალი კატერი ჩაძირულ იქმნა, 6 სხვა მძიმედ დაზიანდნენ.

1

ყოველი ერთი განსაზღვრული ტომობრივი ერთეულებისაგან შესდგება. სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების დაბალ საფეხურზედ ეს ტომები ცალკე, ნახევრად დაბუკიდებულ ცხოვრებას ეწევიან. მათ შორის ომიც და მშვიდობიანი ურთიერთობაც საერთაშორისო ხასიათს იღებს. ასე ცხოვრობდნენ ძველად ქართველი ტომები და ხშირად ერთი და იგივე ტომისაგან შემდგარი პროვინციებიც.

სოციალურ და პოლიტიკურ მომწიფებასთან ერთად იწყება მათი შეკავშირება და ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულად ქცევა.

ქართველ ერში ასეთი პოლიტიკური სიმწიფე, სჩანს, ძალიან შორეულ საუკუნეებში ხდება. მაგრამ როგორც შემდეგ, ისე წინადაც გარეშე ფაქტორები ხელს უშლიდნენ ქართული მოღვმის ელემენტებს ეროვნულ გაერთიანებას.

ქართველ ტომთა შორის პოლიტიკური მთლიანობის ტენდენციებს ვხედავთ ჯერ კიდევ ასურთა ბატონობის ხანაში. მაგრამ როგორც ვიცით შემდეგი დროის პოლიტიკური ანარქია დიდი ხნით გადასდებს ამგვარ გაერთიანებას.

პირველ საუკუნეებში, სანამ რომაელები ესტუმრებოდნენ საქართველოს, აქ ერთგვარი პოლიტიკური გაერთიანება უკვე არსებობდა, თუმცა არა სრული. სახელდობრ ყველა ქართველი ტომები შობინადრე სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში შეერთებული ერთ პოლიტიკურ ერთეულად ქმნიდნენ ერთ სახელმწიფო ერთეულს, იბერიის სამეფოს.

მეორეს მხრით სამხრეთდასავლეთითა და დასავლეთით შობინადრე ტომები, რომელნიც უკვე გარკვეულად განირჩეოდნენ ერთი მეორისაგან, სახელდობრ: ლაზები, მეგრელები, სვანები და აფხაზებიც უკვე პოლიტიკურად შეერთებულ სამეფოს ქმნიდნენ კოლხიდის სახელწოდებით. უნდა შევნიშნო რომ დასავლეთ საქართველო ან კოლხიდა სხვა და სხვა სახელს ატარებს.

ქართველთა ამ სამეფომ ყველაზედ მეტი ბრძოლა გადაიტანა გაერთიანებისათვის.

საქართველოს გაერთიანების ისტორია

იბერიის სამეფოში გაცილებით ერთფეროვანი მოსახლეობა იყო, თითქმის ყველა ერთი ენით მოლაპარაკე. მაშინ, როდესაც კოლხიდაში ზემოდ დასახლებული ყველა ტომი თავის კილოკავზე ლაპარაკობს და ამდენად მათ შორის ზოგიერთი ნიშანდობლივი სხვაობაც ნათელია.

ბრძოლა იყო განუწყვეტელი ერთი ტომისა მეორის წინააღმდეგ. როგორც ერის დიდი მამულებით, აქაც თვითული სკდილობდა შეერთება მათი ბატონობის ქვეშ მომხდარიყო. ასეთი ბატონობა თითქმის თვითეულ მათგანს ერგო სხვა და სხვა დროს. როგორც კი ერთი მათგანი მოაპოვებოდა პრივილეგიურ პირობებს მასთან იცვლებოდა სამეფოს სახელიც.

პირველ საუკუნეებისათვის მთელ დასავლეთ საქართველოში კოლხთა დომინაცია უნდა ყოფილიყო და სამეფო იწოდებოდა კოლხიდად. ცხადია, ცალკე ტომთა განდგომილებისათვის ბრძოლებს მუდამ ჰქონდა ადგილი.

ბიზანტიის ხანაში, არაბების შემოსევამდე, საქართველოს ეს სამეფო ატარებს ლაზიკის სახელწოდებას. არაბთა ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ბატონობს აფხაზთა დინასტია და იწოდება აფხაზთა სამეფოდ.

მაშ, ა მ ე პ ო ქ ა შ ი ქართველი ერის პოლიტიკური მთლიანობის საკითხი ისეთ მდგომარეობაში იყო, როგორც იყო ევროპის ხალხებისათვის მე-10-12-ე საუკუნეებში.

2

ალექსანდრე მაკედონელის წინა აზიაში ლაშქრობის წინ საქართველო სპარსთა ორ აღმინისტრაციულ ერთეულად ითვლებოდა.

პირველ საუკუნეებში, როგორც აღვნიშნეთ, მთელი საქართველო ჩამოყალიბებულია ორ სამეფოდ. მარტო დასავლეთ საქართველოს გაერთიანების პროცესი გვიჩვენებს, რომ ტენდენცია უნდა ყოფილიყო მთელი საქართველოს გაერთიანებისა. მაგრამ ამ ბუ-

ნებრივ პროცესს აბრკოლებდა გარეშე პირობები. ბიზანტია და სპარსეთი ერთმანეთს ეცილებიან საქართველოსათვის. და ამ ბრძოლაში წონასწორობა ხშირად ისე მყარდებოდა, რომ საქართველოს ერთი ნაწილი ბიზანტიის გავლენის ქვეშ ექცეოდა და მეორე ნაწილი სპარსეთის.

ამ დიდი დაბრკოლების და მიუხედავად იგივე საერთო თავდაცვის აუცილებლობა აიძულებდა ქართველ ერს რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, მიეხწია ეროვნულ გაერთიანებისათვის.

ეს დიდი მისია თავს იღვა მე-5-ე საუკუნეში იბერიის სამეფომ. ვახტანგ გურგასარმა ჯერ თავისი სამეფო გაამაგრა. დაიმორჩილა მთიულეები და შემდეგ შეიარაღებული ძალით გადავიდა დასავლეთ საქართველოში.

ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში მრავალი იყვნენ გაერთიანების მომხრენი, მაგრამ სჩანს, მოწინააღმდეგენიც ბევრი ყოფილან. ამიტომ ვახტანგი ამ დიდი საქმისათვის ბრძოლასაც არ ერიდებდა და ძალით იკავებს ლაზიკის სამეფოს.

ასე მოხდა საქართველოს პირველი პოლიტიკური გაერთიანება მე-5-ე საუკუნეში. მაგრამ ის იყო მეტად ხან მოკლე და უდღეური. მისი კვალი ჩვენს ისტორიას შეუძმწეველი დარჩა, რადგან სპარსეთ - ბიზანტიის მეტოქეობამ შეუძლებელი ჰყო ამგვარი ერთობა. მაღლე აპარსელებმა იბერიის სამეფოც გააუქმეს და თავიანთი ერისთავი დანიშნეს.

ხოლო, როდესაც მე-7-ე საუკუნეში ბიზანტია იმარჯვებს, გავლენას ავრცელებს იბერიის სამეფოზედაც, მოსალოდნელია შექმნილიყო ისეთი პირობები. როდესაც საქართველო შესძლებდა თავის პოლიტიკურ გაერთიანებას. მაგრამ ამ დროს შემოდიან არაბები და საქართვლო დაეცემა, უფრო მეტად დაქუცმაცდება და გაერთიანება კიდევ გადაიდება 3-4 საუკუნით.

3 ეროვნული

არაბებმა უშინაგონად აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრეს. ერთ ნახევარი საუკუნის ბატონობის შემდეგ, როცა არაბები შესუსტდნენ და მათი სარდლები ხალიფას მაინც და მაინც აღარ ემორჩილებოდნენ, ქართველები სარგებლობენ ამ მდგომარეობით და იწყებენ თავისუფალი ცხოვრების მოწყობას.

ეს ადვილი იყო დასავლეთ საქართველოში. რადგან ისინი თავისუფალი იყვნენ არაბებისაგან. მაგრამ სჩანს იქაც ქართველთა შორის მთლიანობა არ სუფევდა.

ბიზანტია ხელს უწყობდა მათ დაქუცმაცებას, რათა ადვილად ებატონა მათზედ.

მერვე საუკუნეში აქ კვლავ იწყება ბრძოლა გაერთიანებისათვის. მისი მეთაურად გამოდის აფხაზეთის ერისთავი ლეონი. ის იბყრობს მთელ დასავლეთ საქართველოს და მიდის ლიხის მთაზე. 746 წ. ის აცხადებს თავს მეფედ აფხაზთა.

ამიერიდან მთელი დასავლეთ საქართველო ავღმეფის ლეონ I-ის წყალობით გაერთიანებულია.

ამის პარალელურად, საქართველოს სამხრეთით, კლარჯეთში არსდება საქართველოს მეორე სამეფო. არაბებისაგან შევიწროებული ქართლის ერისთავი აშოთ გარბის კლარჯეთში და იქ ბერძენთა შემწეობით აარსებს ამ სამეფოს. ამავე ხანებში კახეთშიც ჩამოყალიბდება ცალკე სამეფო. ქართლის დიდი ნაწილი და ტფილისი პირველად არაბების ხელშია. ხოლო ცოტა გვიან ქართველიც ცალკე სამეფოდ ყალიბდება და არაბებს კი რჩებათ მხოლოდ ტფილისი.

ამგვარად მერვე საუკუნეში მთელ საქართველოს ტერიტორიაზედ ჩამოყალიბდება ოთხი პოლიტიკური ერთეული. მათ შორის იწყება ბრძოლა. თვითეული მათგანი სკდილობს ეს გაერთიანება მოხდეს მისი მეთაურობით.

ამ ბრძოლაში ისინი არავითარ კომბინაციას არ ერიდებიან. თვით უცხოელების გამოყენებასაც. მაგ. როცა კახელეები ებრძვიან აშოთს ან აფხაზებს, იყენებენ არაბთა მოკავშირეობას. აშოთი კი ხშირად იმხრობს სომხებს.



საქართველოს დამოუკიდებლობის

შესაძლებლობანი

V

წინა წერილში აღვნიშნეთ, რომ საქართველოს იმპორტის 71% - შეადგენს რუსეთიდან შემოტანილი საქონელი. და ჩვენი ქვეყნის მტრები ამას უთითებენ და გულუბრყვილონი უნდათ დააჯერონ ჩვენი ქვეყნის რუსეთთან დამოკიდებულობის აუცილებლობაში. მხოლოდ იმას კი, რაც უმთავრესია, რაც ციფრების იქით იმყოფება და საქართველოს მოსახლეობას ზარალს აყენებს განზრახ მალავენ. ვინ იგებს რუსეთის ნაწარმოების შემოტანით. საქართველოს მოსახლეობა, თუ რუსეთის ხაზინა? ვის სასარგებლოდ არის შეკრული ვაზა. უცხოეთის უდიდეს და უიაფეს ბაზრებისაკენ, საქართველოს მოსახლეობის თუ რუსეთის ქარხნების სასარგებლოდ? ?

1930 — 31 წლებში საქართველოდან საზღვარგარეთ გატანილი საქონლის ღირებულება 44,328 ათასი ფუტი სადა იქნა. იმავე დროს განმავლობაში შემოტანილი საქონლის ღირებულება 1,847 ათასი. და ეს მაშინ როცა იმავე მიმართულებით საქართველოს ძალიან ბევრი რამ შეეძლო შემოეტანა ხელსაყრელ პირობებში, ვინემ რუსეთიდან. როცა ევროპის სახელმწიფოები საკუთარ ნაწარმოებს აწვდიან კოლონიებს, იმის უნარი მაინც აქვთ, რომ იქაური ნაწარმოები და ნედლი მასალაც თვითონ წამოიღონ და გაასაღონ. საქართველოს წარმოების უდიდესი ნაწილი რუსეთში ვერ საღებდა და იგივეროპის ბაზარზე გადის, ხოლო იმის მაგიერ, რომ ამავე დროს ევროპაში აღებული ფულით, ევროპისავე იაფ - ფასიანი და საუკეთესო

თესო ხარისხის ნაწარმოები მიიღოს საქართველოს მოსახლეობამ, იგი იძულებულია რუსეთის მდარე და ძვირი საქონელი შეიძინოს.

საქართველოს დამოუკიდებლობის სახელის გასაცხადებლად, ბოლშევიკებს მოყავთ ხოლმე საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა 1918-1920 წლებში. თუ ამ დროს ეკონომიური პირობების დასახელება საბუთია იმისი, რომ საქართველოს ურუსეთოდ ცხოვრება არ შეუძლია, მაშინ დამოუკიდებლობაზე ხელი უნდა აიღონ მრავალმა სახელმწიფოებმა, რომელთა ეკონომიური პირობები 1918 — 20 წელში და შემდეგაც ბევრათ არ სჯობდა და საქართველოსას და უპირველეს ყოვლისა თვით რუსეთში, რადგან საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, საბჭოთა კავშირში ბევრად გაუარესდა, რადგან იგი ეკონომიურად გაუთანასწორდა სიღარიბეში. მოსკოვის ცენტრალურ მთავრობას ხელი უპყრია თითქმის ყველა შემოსავლის წყაროები შემოსავლის ნაწილს აძლევს მოკავშირე რესპუბლიკებს და ადგილობრივ მართველობას. ცხადია ასეთი წესი სრულებით არ ნიშნავს იმას რომ განაპირა ქვეყნები ცენტრის ხარჯზე ცხოვრობენ.

პირიქით, სტატისტიკური ცნობებით სავსებით გამორკვეულია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს სრულიად დაფარავდა ის გადასახადი, რომელსაც საქართველო სხვა და სხვა სახით იხდის რუსეთის ცენტრალური ხაზინის სასარგებლოდ.

პ. სარიძე

ამ დროს მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სომხეთიც. ისიც ჩაბმულია ქართველებთან ერთად ამ ბრძოლაში და სცილობს გაერთიანება მისი ხელით მოხდეს. ე. ი. აქ ბრძოლა ქართველებსა და სომხებს შორის ხდება იმისათვის, თუ ვინ იყოს ხვალ ბატონი მთელი კავკასიისა. მაგრამ სომხები მარცხდებიან.

ეს ბრძოლა გრძელდება მეათე საუკუნის მიწურულამდე. მეათე საუკუნეში გარემოებანი ლაგდებიან ისე, რომ მთელი საქართველოს გაერთიანების იდეა უფრო დიდი მასშტაბით წამოიჭრება და გაცილებით მშვიდობიანი გზითაც მიიღებს თავის დასაწყისს.

(გაგრძელება იქნება)

ალ. მანველიშვილი

მეფეზია, ალალი და მ

ტყეში შეფრინდა მალალი მზეწვია, ნისკარტით მიჰქონდა რალაცა ნამცეცი, მაგრამ ალალი ვხად წამოეწია და ასვან დაჭრილი მიწაზე დაეცა!

სტანჯავდა იარა საბრალო ჩიტუნას, სტანჯავდა უფრო ის, რომ იყო მართალი, კაცს დააღონებდა მისი ზღვა ცრემლები და მალალ ბალახში უმწეო ფართხალი!

თვალებით, რომელსაც ელვა მოსდებოდა, ბრჭყალებით, — მწარე და ბასრულით მიწაზე დაცემულ მსხვერპლს არ შორდებოდა ცის პორიზონტიდან ბარამდი დასული;

ეძია, და როცა ბალახში იხილა, კვალად მომართა ნისკარტი სათელი, მაგრამ აქ განგმირა ის ჩემმა მახვილმა და შერჩა მზეწვიას სამხეოს ნათელი!

3. ურდული

კავკასიელი

მოხალისენი

საბარქნეთში

საბერძნეთის დედაქალაქში, ათინაში, ჩამოვიდნენ კავკასიელ მოხალისეებისაგან შემდგარი სამხედრო ერთეულები. ისინი ყირიმიდან შავი ზღვით გადაყვანილი იქმნენ რუმინეთის ნავთსადგურებში. ეს ნაწილები იმყოფებოდნენ რამოდენიმე თვის განმავლობაში ყირიმის თავდაცვითი ბრძოლებს დროს მოწინავე ხაზზე, სადაც იშვიათი ვაჟკაცობა გამოიჩინეს. ჯერ კიდევ 1943 წლის ნოემბერში, გერმანულ არმიითა მთავარსარდლობამ აღნიშნა კავკასიელ მოხალისეთა ბათალიონების დაწინაურება ყირიმში წარმოებულ მძიმე ბრძოლების დროს.

ერთი ნაწილი პალიანად ქართველებისაგან შესდგება, რომელიც ორ წელზე ჰქვია გერმანიის არმიის რ. ც. ბ. შ. იბრძვიან. მათი რიგებიდან გამოვიდა მრავალი ქართველი ოფიცერი, მრავალნიც დაჯილდოვებულნი არიან. ისინი ამჟამად თავის სამშობლოსაგან შორს იმყოფებიან, მაგრამ გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად განაგრძობენ თავის სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას საერთო მტრის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ. (ეს ცნობა გადმოებულია „პარიზერ ცაიტუნგიდან“.)

ინგლისელები

უკმაყოფილო არიან

ზრანგებით

„გადმოსხმის შემდეგ გაქარწყლდა კიდევ ერთი ლეგენდა“, სწერს „ნი ცირიუხერ ცაიტუნგის“ ლონდონელი კორესპოდენტი, სახელდობრ ის, რომ, თითქოს, ფრანგები მოუთმენლად ელოდნენ ინგლის-ამერიკელებისაგან განთავისუფლებას. ფრანგ მოსახლეობას ცივმა შეხვედრამ; როგელსაც ერთხმად ყველა კორესპოდენტი აღნიშნავს და რასაც მოკავშირეების სარდლობა ახლა ვეღარ მალავს, — ლონდონში გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის იმედის გაცრუება. ერთი კანადელი ლეიტენანტი შემდეგს სწერს ფრანგებთან თავის შეხვედრების შესახებ: „მათ სახეებში ჩვენ ამოვიკითხეთ ჩვენი გამტყუნება. ჩვენ ისინი უხმოდ გვხვდებოდნენ. ნორმანდიის გლეხის ქალები ამაყად და ცივად გვიცქერდნენ პირდაპირ თვალებში. არც ერთი მისალმება, არც ერთი დომილი. და როდესაც ჩვენ, როგორც ტყვეები, ქუჩებში გავვატარეს, მოსახლეობა გვემუქრებოდა, გვაფურთხებდა და გერმანელ მცველებს რომ არ დავეცავით, ქვებით ჩაქოლვოდას კი გვიპირებდა“.

გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

„სამხრეთ ინგლისზე დატანილი ჯარისკაცთა განვითარება უზრუნველყოფილია“

ავსტრიის გერმანიის კარის უზრუნველყოფის დოკუმენტი

ლონდონი იხილეთ საინფორმაციო იარაღის ცენტრის ქვეშ იხილეთ

გერმანიის განვითარება ინგლისის აღმოსავლეთის ხიდის თავის შემოწმებას

მტრის საზღვარ დანაკარგის შედეგები:

ჩამოკლებულია: 2 კარისკაცი 14 ნაღმტყორცნი, 4 ჩქარმავალი კატერი, 39 ტრანსპორტი

დაზიანებულია: 6 კარისკაცი, 21 ნაღმტყორცნი, 9 ჩქარმავალი კატერი, 70 ტრანსპორტი

ფიურერის მთავარი ბანაკი.

21 ივნისი.

გერმანიის ჯარების უმაღლესი სარდლობა იუწყება:

ნორმანდიაში განვითარებული ორნის აღმოსავლეთით ხიდის თავის შევიწროებას. ტილის სამხრეთ - დასავლეთით მტრის შემოტევები უშედეგოდ დამთავრდნ. გავუნდგურეთ 15 ტანკი.

ვალონის ჩრდილოეთით მტრის იერიშიც უკუქცეული იქმნა. მტერმა სულ მცირე ძალით კონტაქტი დაამყარა. შერბურგის სამხრეთის ფრონტთან. ეს ძალებიც გავუნდგურეთ და გავუნდგურეთ, მრავალი ჯავშნიანი მანქანები.

ნორმანდიის ხიდის თავთან ბრძოლებში განსაკუთრებით თავი იჩინა კავშირის ესკადრამ, რომელსაც მეთაურობს ლეიტენანტი ეგლი.

ამ დამეს ჩვენმა თვითმფრინავებმა, ნორმანდიის მხარეს თავიუყრილ მტრის გემებს დაუშინეს მძიმე ბომბები. 6 ივნისის შემდეგ, ჩვენი ყველა საბრძოლო შენაერთების მიერ განდგურებულ იქმნა ნორმანდიის მხარეს და ლამანში მტრის 2 კრეისერი, 14 ნაღმტყორცნი, 4 ჩქარმავალი კატერი, და 27 ტრანსპორტი, სულ 167,000 ბტ. წყ. წყვით. და 12 სპეციალური გემი გადმოსხმისათვის, რომელთა წყალწყვა უდრის 18,300 ბტ.ტონას. ეს დანაკარგი მტრისა არ შეიცავს, მან სულ დაკარგა ჩვენი მინების შემწეობით, 3 დიდი კრეისერი, 3 კრეისერი, 21 ნაღმტყორცნი, 9 ჩქარმავალი კატერი, 68 სავაჭრო და სატრანსპორტო გემი, რომელთა წყალწყვა უდრის 287,000 ბტ. ტონას. 2 გადმოსხმელი გემი

4000 ტონიანი და ერთი ტონაის გემი დაზიანებული იქმნენ ბომბებითა და წყალქვეშა ნავებით.

შუა იტალიაში 140 კილ. მტრის მანძილზე გრძელდებოდა თავდაცვითი ბრძოლები. მტერი კიდევ შეეცადა განახლებული ძალებით შემოჭრილიყო ჩვენს პოზიციებზედ, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. გუშინდელ დღეს მტერმა დიდი ზიანი მიიღო.

კუნძულ ელბიდან ჩვენი ჯარების გადმოსვლის დროს მტერს დაეუღუპეთ ორი კატერი და ორიც-დაჯუზიანიო. აქ თავი ისახელა კაპიტან ბერმანის ფლოტმა და „ბომბინოს“ ბატარეამ.

აღმოსავლეთის ფრონტ-

ზედ, სმოლენსკის სამხრეთით, მტრის ადგილობრივი იერიშები მოგერიებულა. 19 — 20 ივნისის დამეს, ფინეთის სრუტეზედ გაცხარებულ საზღვაო ბრძოლაში ბოლშევიკებს დავუღუპეთ 5 ჩქარმავალი კატერი, ჩამოვადეთ 9 თვითმფრინავი და დავაზიანეთ 6 კატერი.

გუშინ ამერიკელთა ბომბდამშენებმა მოახდინეს ტერორისტული თავდასხმები ჰამბურგზე, ჰანოვერზე, მაგდებურგსა და შტეტინზე.

საპაერო თავდაცვის ძალებით ჩამოვადეთ მტრის 58 თვითმფრინავი. აქედან 41 ოთხმოტორიანი. 23 ოთხმოტორიანი თვითმფრინავი იძულებული გახვადეთ, შევციაში გადმოსხმადარიყო.

მოკლე ცნობები

ახალი იარაღის მოქმედების რაიონი

მადრიდიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ახალი გერმანული იარაღის მოქმედების რაიონში შედის არა მარტო ლონდონის ზონა, არამედ დევენპორტი, პლიმუტი, მარტმუტი, ვეიმუტი, ვიგპტის კუნძული, სუამტონი, ნევაპენი, ჰასტინგსი, ფოკელსტონი, დუერი, რამზგატი და გრავესანდი. საზენიტო არტილერიის პროექტორებმა ერთ დამეს დახარჯეს ელექტრონის იმდენი ენერჯია, რაც ნორმალურ დროს ქ. ლონდონს ორი კვირის განმავლობაში სჭირდება. ის გიგანტიური ხანძარი, რომელიც პირველ დღიდანვე ქალაქის თითქმის ყველა კუთხეში გაჩნდა, — დღემდის მძინვარებს.

ცნობები ახალ გერმანულ იარაღის შესახებ

18 ივნისს, დილით ადრე, ლონდონის კვამლსა და ცეცხლით მოდებულ ქუჩებში, ხალხმა თავის ყრა იწყო გაზეთების კიოსკების წინ, რომ გავგოთ რეიტერის „სენსაციური გამოქვეყნებანი“ ლონდონზე თავდასხმის შესახებ, როგორც ინგლისის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ეს ახალი გერმანული იარაღი წარმოადგენს თვითმფრინავს, რომელსაც რადიოთი მართავენ. მანქანები ერთი მეორეზე მისდევნ რამოდენიმე წუთის ინტერვალით. მათი ფრენა ვერ შეაჩერა საზენიტო არტილერიის ცეცხლის კედელმა. მზგავს დაბრკოლებებს შერღლის სამხედრო წრეებში არ აქცევენ დიდ ყურადღებას.

კიდევ ახალი მარშალი

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ალჟირის კონსტანტინე და ასახელა ნორმანდიის ქალაქებისათვის კომისრები და ამ თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევაში უშუალო მონაწილეობა მიიღო „მარშალი“ დე გოლმა. საზოგადოებრივმა აზრმა ამ რიგად პირველად გაიგო, რომ დე გოლი უცბად გამხდარა „მარშალი“, და გაკვირვებით და ირონიით ჰკითხულობს, თუ რა სამსახურისათვის და ვისგან მიეცა მას ეს დწინაუტრება. რადგან, ამ უკანასკნელ დღეებში მან განიცადა მთელი რიგი მარცხების ინგლის - ამერიკელთა ბანაკში.

ინგლისის მთავრობამ ბრძანება გასცა ლონდონის ევაკუაციის შესახებ

სტოკოლმიდან იტყობინებიან, რომ ახალი იარაღი იმდენ ზარალს აყენებს ქალაქს, რომ ვერც მეტრო და ვერც თავისაფარები საკმარისად ვერ ავენ ჰაერის აფეთქებამ გამოწვეულ წყალბომებზე. ტომ ინგლისის მთავრობის დასწყვიტა დაუყოვნებამდებად გასცეს დედა ქალაქის ევაკუაციის შესახებ. მოსახლეობის ეხლანდელი გახიზნვა თავის რიცხვით და აჩქარებით მრავლად აღემატება 1941 წლისას.

შიშინაობა ჩრდილო ამერიკაში

ესპანიურ სააგენტოს ნიუ-ორკელი კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ ამერიკული საზოგადოებრივი აზრი შეიპყრო დიდმა მღელვარებამ, როდესაც აქ გაიგეს ინგლისის წინააღმდეგ ახალ გერმანულ იარაღის ხმარების ცნობა.

„ლეგიონერი“-ს რედაქციის მისამართი:

Georgische Betreuungsstelle
16, rue Eugene Delacroix,
Paris (16).

ტელეფონი: TRO 62-16
მეტრო: Pompe ან Trocadero.

ნებართვა «პა 818».